

საპარტუკო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

31 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1986 წ.
№ 250 (9411) © ფანი გ კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

გულური კველი და ახალი წლის მიჯნაზე



გულური, თანამედროვე და კეთილმოწყობილ ზამთრის კურორტად რომ იქცეს, მხოლოდ სურვილი არ კმარა. ახლა აქ ბევრი რამ კეთდება, რათა გამართულად იმუშაოს მასობრივი დასვენებისა და მომსახურების ობიექტებმა. წლევანდელ სეზონში ბევრი ხარვეზი გამოწვრილდა, რაც ცალკეული სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების ერთობლივი და შეთანხმებული მუშაობის შედეგია. მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია, რადგან ამ კურორტს მართლაც შესანიშნავი მომავალი აქვს. ეს სურათი, რომელიც რედაქციას ფოტოჟურნალისტმა ვალკო გენგიურმა შესთავაზა, გახულ კვირასა გადამდებული გულურის თოვლიან ფერდობებზე.

საბავთა კავშირის
თანის გათავაზება
და აბსოლუტური
პირველობა

სამი პრიზიტი

გროზნოში დამთავრდა სსრ კავშირის თანის გათავაზება და აბსოლუტური პირველობა კრივის დამაჯერებლად იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა, რომელიც შეუსუსტებული შემადგენლობით გამოდიოდა (გუნდს აკლდნენ არმიის რიგებში გაწვეული სპორტსმენები) და გუნდური VII ადგილი დაიკავა. პირად შეჯიბრებაში II ადგილზე გავიდა და ვერცხლის მედალი გადაეცა დომენტი დანელიას (91 კგ; „ლოკომოტორი“, ქუთაისი; მწვრთნელი რევაზ თოფურია), რომელიც ფინალურ ორთაბრძოლაში დაშვდა და დამარცხდა გროზნოელ რამზან სიბიევიანს. აღსანიშნავია, რომ აბსოლუტურ პირველობაში იგი მესამე იყო.

თანის გათავაზებაში III ადგილები დაიკავეს ეროსი მარგვიანმა (67; „ბურევესტიკი“, მესტია; ალექსანდრე ჯაფარიძე) და ალი მაგდოევი (48; „სრომითი რეზერვები“, რუსთავი; ნორიკ მარდანიანი).



ეროვნული ბიზლირთიქე

ტურიზმი ყოველ სეზონში დასვენებას

აფხაზეთის ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭოს თანამშრომლები ამ სიტყვებს იმასაც უმატებენ, რომ ტურიზმისათვის ცუდი ამინდი არ არსებობს. თავად განსაჯეთ: საოლქო საბჭოს განკარგულებაშია 12 ტურბაზა, კემპინგი და ტურისტული სასტუმრო, რომელთაგან შვიდი მთელი წლის განმავლობაში მუშაობს!

1986 წელს აფხაზეთში 393 ათას ტურისტს მოემსახურნენ. მთელი წლის განმავლობაში ეწყობა ლაშქრობები. გათვალისწინებულია სპეციალური მარშრუტები ოჯახებისთვის, ერთდღიანი და მრავალ-

დღიანი ჩასათვლელი ლაშქრობები.

ტურისტული სასტუმრო „სოსუნის“ სტუმრები ახალ წელს შეხვდებიან აფხაზეთის დათვლილ მთებში, მოგიზიგებენ კოკონთან, რომელიც განთქმული „სამხრეთის თავშესაფრის“ მახლობლად იქნება გაჩაღებული.

სურათზე: ლენინგრადელი ტურისტები აფხაზეთის მთიან ბილიკებზე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სამი პატი, სამი გამარჯვება

სულ ახლახან უცხოეთის ქვეყნებში გამართული ამხანაგური საერთაშორისო მატჩების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელთა გუნდი.

ლანჩხუთელი ფეხბურთელები სტუმრად იყვნენ სირიასა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში. აქ მათ 3 მატჩი ჩაატარეს და სამივე გამარჯვებით დაამთავრეს.

„გურია“ პირველად დამსკვი შეხვდა ადგილობრივ „ჰურასს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

შემდეგ ლანჩხუთელებმა ქ. დუბაიში მოუგეს ადგილობრივ „იანატრისს“ — 3:0, აქ ორი ბურთი გაიტანა ფრიდონიშვილმა, ერთი — გილიგაშვილმა.

დაბოლოს, „გურია“ ქალაქ ბარქაში ზოთამაში „ალ-შაჰაბისთან“ და კვლავ მოგებით დაასრულა შეხვედრა — 3:0. ბურთები გაიტანეს ფრიდონიშვილმა, ჩხაიძემ და ტყეშუჩავამ.

ნარკოზიღვანთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

ბები სისარულიძე

გუნდის სახე მწვრთნელია — ამბობენ. ადრე თუ გვიან მწვრთნელის ხელწერა მისი პედაგოგიური ალღო, თუ გნებავთ პიროვნული თვისებები უთუოდ გამოვლინდება და სრულიად წარმოაჩენს კოლექტივისაც და თვით მის თავკაცსაც. ლანჩხუთის „გურიის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ბეგი სისარულიძის პორტრეტს ზემოთქმული საკვებით ვსადავებ.

რესპუბლიკის გუნდებში თამაშით, შემდეგ მწვრთნელად მუშაობისას მიღებული ცოდნა-გამოცდილება ამ მწვრთნელმა შესანიშნავად შეუხამა ერთმანეთს და როცა იგარძნო უფრო საბასუსისმგებლო საქმესაც შეძლო შექიფებოდა, ლანჩხუთის „გურიაში“ მოვიდა მეორე მწვრთნელად, შემდეგ ამ კოლექტივის უფროსი მწვრთნელი გახდა.

როგორ შეძლო მანამდე დიდი სპორტული სამყაროსთვის თითქმის უცნობმა მწვრთნელმა პირველი ლიგის გუნდის უმაღლეს ლიგაში გადაყვანა? ამ კითხვამ ბევრი სპეციალისტი და ფეხბურთის გულშემოყრისი დააფიქრა. მართლაც, შეუძლებელია ბეგი სისარულიძეს პირადად არ იცნობდეს და მის საქმიან თვისებებზე, საქმისადმი მისუფლ დამოკიდებულებაზე და ყველაფერი ამის გვირგვინზე — შედეგზე დასკვნა გააკეთო.

შალვა კაკაბაძე, რომელიც დიდხანს ედგა სათავეში ლანჩხუთის „გურიას“, ამბობს: „უაღრესად მომთხოვნია საკუთარი თავისადმი, ბუნებრივად აქვს მომადლებული

პასუხისმგებლობის გრძნობა და შესანიშნავი ადამიანური თვისებები“.

დავევთანხმებით, სპორტში პიროვნებები „ქმნიან ამინდს“, ეს მწვრთნელზეც ითქმის და სპორტსმენებზეც. ბეგი სისარულიძემ შეძლო იმ კოლექტივში, რომლის ინტერესებს პირადად დაუმორჩილა, შეექმნა ასეთი „ამინდი“, თანამოაზროვნე ბირთვად შეეკრა გუნდი, ყოველივე ეს კი თავისთავად, მით უფრო, მხოლოდ სურვილით არ მოიხსი. მწვრთნელს არც მხარდაჭერა და თანადგომა აკლდა, რადგან ყველაგან და ყველაფერში იძლეოდა საქმისადმი თავდადების მაგალითს.

და კიდევ ერთი შტრიხი ბეგი სისარულიძის, როგორც მწვრთნელის სრული პორტრეტისათვის: „გურიის“ უმაღლეს ლიგაში გადასვლის შემდეგ უფროსმა მწვრთნელმა მორიდებულად მოხსნა ამ თანამდებობაზე თავისი კანდიდატურა. ეს იყო მოულოდნელი განცხადება, მაგრამ ბევრის მთქმელი და მიმნიშნებელი. ალბათ ასე იქცევიან დიდი პასუხისმგებლობის წინაშე მდგარი ადამიანები, რომლებიც შიშს კი არ მიჰყავს ასეთ გადწყვეტილებამდე, არამედ საკუთარი უნარისა და ძალის კრიტიკულ შეფასებას. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანებიც ხომ იშვიათად გვხვდებიან ცხოვრებაში.

მაგრამ ბეგი სისარულიძე კვლავ თავის საყვარელ გუნდშია მეორე მწვრთნელად, იგი ისევ და ისევ მზადაა კოლექტივთან ერთად ზილოს დიდი სპორტის მძიმე ტვირთი.

„ოქროს ბურთი“ — იგორ ბელანოვს!

ბარნიზი, 30 დეკემბერი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების 26 წლის თავდასხმელი იგორ ბელანოვი (კიევის „დინამო“) დაასახელეს 1986 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად, მას, წესისამებრ, დააჯილდოვებენ „ოქროს ბურთის“ მეტად საპატიო პრიზით.

იხ. გვ-3 გვ.

სურათზე: იგორ ბელანოვს 11-მეტრიანი შესაშე ბურთი გააქვს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩში ბელგიის ნაკრებთან.



ვეტიკულარული, ღინ!

...მათრამ ვეღა ვაზნა დახარჯა, თოფი გვერდზე გადასდო და ხელყუმბარებს დასწვდა, ტანმოჩილი ტანის პოდპოლოკინიკა კვლავ სროლას განაგრძობდა, აირწინალით სახედაფარული ლეიტენანტი კი ცეცხლის ხაზსკენ მიიწვიდა...

...თუმცა, მამაკით, წარმოსახვამ გაიბრუნა და სინტერესო წიგნი წაიკითხა საბრძოლო ეპიზოდია აღწერასავით გამოივიდა, მაგრამ, მერწმუნეთ, ამ დღეებში სწორედ ასეთი სურათი ვიხილე ქუთაისის სასტენდო სროლის ხაზზე.

...ისინი — დიდი სამამულო ომის ვეტერანები, გადამდგარი ოფიცრები თუ ჯარისკაცები კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს ცეცხლის ხაზზე და კიდევ ერთხელ შეეჯიბრნენ ერთმანეთს სიჩაქეში, დიხ, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ქუთაისის საქალაქო საბჭომ (თავმჯდომარე თ.

ერემიშვილი) სპარტაკიდა ჩაატარა დიდი სამამულო ომის ვეტერანებისათვის, ბრძოლების ქარცეცხლში გამოვლილმა ჯარმაგმა მამაკაცებმა სიჭაბუკის წლები გაიხსენეს და ერთმანეთს შეეჯიბრნენ 200 მეტრზე აირწინალით რბენაში, პნევმატური იარაღით ტყვიის სროლაში და ხელყუმბარის ტყორცნაში.

...ისინი, ვინც ვეტერანთა პირველ საქალაქო სპარტაკიდაში ისახელა თავი: მიხეილ ჯორჯიანი, ბორის საგალოვიჩი (ორივე — სამკერველო გაერთიანება „გელათი“), ლევან კაბახიძე (აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება), შოთა შიქაძე (რეზინის ტექნიკურ მკვითობათა ქარხანა), სოსო ჭილაძე, (მოტობლოკების ქარხანა), თორ ნაცვლიშვილი (ავიჯის ფაბრიკა).

სოსო ჭილაძე — სამამულო ომის II ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენების კავალერი: — ეს ღონისძიება მეტად დროული და

საჭირო იყო ერთი იმიტომ, რომ ფრონტული მეგობრები კიდევ ერთხელ შეხვდით ერთმანეთს, მეორეც — ჩვენს ასაკში ფიზიკური ვარჯიშები, აქტიურობა აუცილებელია. არ გვეგონა 200 მეტრს თუ დავძლევდით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჯერ არ დავძაბუნებულვართ. ხელყუმბარებიც კარგად ვისროლოთ, თუმცა ერთმა ჩვენმა შეგობარმა სინანულით თქვა: „ძველი სნაიპერი“ ვარ და ასეთი მოკრძალებული შედეგი არ შემიფერება, ამიტომ ვარჯიშს უნდა შევუდგავო.

...დიხ, ახალგაზრდობაში დიდ დროს ვუთმობდი ფიზკულტურას და სპორტს. მახსოვს, 30-იანი წლების მიწურულში მაღალ დონეზე ტარდებოდა შეჯიბრებები სამხედრო სპორტულ სახეობებში. რამდენჯერმე მოვაწყვეთ გადარბენა მარშრუტებით: ქუთაისი — ოფუჩჩხეთი, ქუთაისი — გორმალას

მათა. რომელი ერთი ჩამოვთვალო. დიხ, ფიზიკურად რომ ვიწრობოდით, სწორედ ამიტომ გავუძელით ფრონტულ ცხოვრებას.

...ახლა ცოტა სიბერე შემოგვეპარა, მაგრამ დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ვარჯიში ჩვენი ასაკის აღამიანებისათვის აუცილებელია. სასურველია მსგავსი შეჯიბრებები ვეტერანების მონაწილეობით წელიწადში ერთხელ მაინც იმართებოდეს, თანაც არა ერთი სპორტსაზოგადოების, არამედ ქალაქის და რესპუბლიკის მასშტაბით. ალბათ ასეც იქნება, ამიტომ ჩემს ფრონტულ მეგობრებს მოვუწოდებ: — შევეჯიბრებო, წინი ჯანმრთელობისაგან, სიხალისისაგან, სიჭაბუკისაგან.

თამაზ ხარაბაძე, „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი, ქუთაისი.

ვებრუნდები დაბაჭდები

ეროვნული გიგანტი

სომ არ განელდა?

ჩვენი გაზეთის 28 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში, სათაურით „ინტერესი ხო არ განელდა?“, ლაპარაკი იყო თბილისის „ლოკომოტივის“ რეგისტრაციის განხორციელების მიზნებზე, კერძოდ, იმაზე, რომ დღეისათვის გუნდს ნაყოფიერი წვრთნისათვის საჭირო პირობები არ გააჩნია. ჩვენი გამოხვედის პასუხად რესპუბლიკის სპორტსაზოგადოების მთავარმა მწვრთნელმა რეგებში დავით კილასხიამ გავცნობა:

„გუნდის წინაშე წამოჭრილი, პრობლემების განსახილველად სპორტსაზოგადოების მოწვევის სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ რესპუბლიკური საბჭოს, თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა და რეგისტრაციის განხორციელების მიზნის საწვრთნელი ბაზა (სავარჯიშო მოედანიც და საცხოვრებელი კორპუსიც) ორივე გუნდს დაეთმო.“

გაცხობებით აგრეთვე, რომ წემო აღნიშნული წერილის გამოქვეყნებამდე ერთი კვირით ადრე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართა რესპუბლიკაში რეგების, ხელმართისა და ბიესბოლის განვითარების ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ან. ბ. მახარაშვილი. სამუშაო ჯგუფმა მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდებს შორის რეგების შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით უმაღლესი ლიგის გუნდების ქუთაისის „მშენებლის“, თბილისის „ლოკომოტივის“ და „შეჯიბრების“ საკავშირეო ჩემპიონატისთვის შუამდგომლობის განხორციელებას დასახა.

1987 წლისთვის განზრახულია ბავშვთა მოსამზადებელი ჯგუფები გაიხსნას გარდა, მახარაშვილი, ლეიტენანტი, ცხინვალში და წყალტუბოში, სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდეს თბილისის საქარბნო რაიონის ტერიტორიაზე მახარაშვილი „მოიწერის“ სტადიონზე. ამავე სტადიონზე ბავშვთა რეგების სპეციალიზებული სკოლა გაიხსნას, რეგების მიმდევარ სტუდენტურ კოლექტივებს გაუშვებოდეს სავარჯიშო პირობები. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა პროექტი ქუთაისში რეგების განვითარების მიზნით ჩატარებულ კომპლექსურ ღონისძიებათა შესახებ. გარდა ამისა, სხლომანე იმსჯელეს საქართველოს სახელფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონის კეთილმოწყობის შესახებ და სხვა საკითხებზე.“

კონსულტაცია

ამ შეკითხვას, ალბათ, თქვენ არ უნდა ვიგზავნიდით, მაგრამ, ალბათ ვიცი, როგორ მოვიცილოთ თვის ტივილი. ბევრი წამალი ვცადე, მაგრამ ამაოდ. ერთმა მეგობარმა მირჩია, ვარჯიშით იმეურნალო. საინტერესოა, მეგობრმა თუ მართალია ეს?

ა. სენიანი, მინსკი.

...არა, თქვენი მეგობარი მართალია. თვის ტივილის მოსარჩენად ძლიერი სამკურნალო საშუალებებია პური, წყალი, მოძრაობა. აირას გვირჩევს ა. ს. ავლუნიანი თვის წიგნი „ფიზკულტურა ი სპორტ“, 1982 წ. „დალიე ერთი ყლუბი წყალი და ვაღიდე ქუთაისი. გაისურინეთ, მოაღუნეთ ხელები, ისუნთქეთ წყნარად. ჩაისუნთქეთ — ერთი, ორი, სამი; ამოისუნთქეთ — ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი; პაუზა — ერთი, ორი, სამი. ვაღუნეთ მარჯვნივ, მარცხნივ, უფრო მძლავრად მიაბრუნეთ თავი. გააგრძელეთ სიარული სუნთქვით ვარჯიშებით. მალე თვის ტივილი გაივლით.“

ეურნალი „ფიზკულტურა ი ჯღაროვი“

შინდისალთა სიხარული

შინდისის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ქუთაისის „ტრაპედოს“ ყოფილი ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი ზურაბ მაჭარაშვილი მოუხვეწარი კაცია. მისი მეცადინეობით სო ფელში 3 ჰექტარ ფართობზე გაღობა სპორტული კომპლექსი.

— მაშინ ამოვიწყნებო, როცა ასფალტის საწარმო სიტყვას საქმელ აქცევს — ამბობს ზურაბ მაჭარაშვილი. — მოედნების უმეტესი ნაწილი მოასფალტებულია, მაგრამ ის, რაც დარჩა, აუღებელ ციხე-სიმაგრედ გვექცა, ვებრედებიან, დღეს ან ხელს გავაკეთებთო. ჩვენც გვეყრავ, რომ სიტყვას არ გასტყვენ.

ერთი სიტყვით, შინდისელ ახალგაზრდებს დიდი სიხარული ელოთ — კომპლექსი თითოთ საჩვენებელი იქნება გორის რაიონში და არა მარტო გორის რაიონში. გასულ სპორტულ სეზონში ახალ მოედნებზე შეიკრიბნენ ფეხბურთის, ჩოგბურთის, ხელბურთის მოყვარულები. ჩატარეს ქართული ჭიდაობის საღამოც, რომელმაც აღტაცებაში მოაუყვანა მსოფლიო ოლიმპიადის სპორტანოზაციო კომიტეტის წარ-

მომადგენლები, რომლებიც ხეზადსხვა ქვეყნიდან იყვნენ ჩამოსული სტუმრად გორში. კომპლექსის მოწყობაა გადახურული საჭიდაო სარბილი, სამსაჯო ოთახი და გასახილველი ყველაფერი ეს უფრო ლამაზი სანახავე იქნება მაშინ, როცა დასრულდება სახეს მიიღებს.

მეურნეობის ადმინისტრაციის გადაწყვეტით კომპლექსში საშაბებები, ბირთვისა და ბადროს სატყორცნი სექტორები, სარბენი ბილიკები მოაწყოს, კომპლექსთან მისასვლელი გზაც კეთილმოაწყოს, მანქანების გასაჩერებელი ადგილიც მოასფალტოს, კომპლექსის ტერიტორია კი უკვე მშენებნარაგებით დაიფარა.

— ფიზკულტურა და სპორტი ყველა შინდისელს უნდა შეუყვარდეს, აი, ჩვენი მიზანი, — ერთხმად მიბასუხეს დირექტორმა და ფიზკულტურის მეთოდისტმა, ძვე-

ლმა კალათბურთელმა ზაურ მამესწარიშვილმა, რომელმაც მუხლჩაუხრელად ორთმა კომპლექსის მშენებლობაზე.

ძირითადი სამუშაოები საზოგადოებრივ საწყისებზე მიმდინარეობდა: ვისაც რა შეეძლო, იმას აკეთებდა. ენერგიულად შრომობდნენ მშენებელი ინჟინერი აკაკი მოლიაძე, მთავარი ინჟინერი (ყოფილი ფეხბურთელი) ვახტანგ ევაძე, შემდგომელი (მოჭირვე) ავთანდილ მარტიროსოვი და სხვები.

— სპორტკომპლექსის მშენებლობის პარალელურად ბევრი რამ გაკეთდა. მოეწყო ტურისტულ-გამაჯანსაღებელი გასვლები ბუნების წიაღში ბოშორის, ქვეშისა და ზოგჯარის შემოგარენში. მეურნეობაში შესარულეს თანრიგოსებისა და ინსტრუქტორების მოზადების გეგმა-დავლება ქართულ ჭიდაობისა და კალათბურთში, მშდ ნორმატივები ჩააბარა 60 კაცმა და ა. შ.

შინდისის ფიზკულტურულ-სპორტულ კომპლექსში მალე გაიგზავნა სადგებელი ჯგუფები შეიქმნება. ჩა-

მოყალიბდება ძიუდოს, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის სექციები.

— ჭიდაობის ამ სახეობათა დასანერგად მწვრთნელთა მოწვევა დაგვირდება და ეს გარკვეულ სიმნიშვნელობაზე შეგვექმნის, მაგრამ შეუძლებელი არაფერია, — ამბობს დირექტორი.

● მაგრამ საწვრთნელი ბაზა, ლიბები?

— თუკი ამდენი რამე შევძელით, აღარც ეს ვაგვიჭირდება.

● მახსოვს, შინდისელებს შეუბრძლით, ნორჩ ფეხბურთელთა გუნდს ჩამოგვავალიდებთ და თვითონვე ვიქნებით მწვრთნელი.

— ჩემს დაპირებას ჩვენი სპორტული კომპლექსის მწყობარში სთხოვდები ჩადგომის შემდეგ შევასრულებ.

გვეჯრა, რომ შინდისის შესანიშნავი სპორტული ბაზა სოფლის ახალგაზრდობის ფიზკულტურული წრთობის კერად იქცევა.

ილია თევდორაშვილი, „ლელოს“ კორ.

სპორტული იანვარი

რესპუბლიკური ღონისძიებები

4-9. მაგისტის ჩოგბურთი — საქართველოს პირველობა 1973 წელს დაბადებულ გოგონათა და იუნორთა შორის. სოხუმი.

5-7. მძლეონობა — საქართველოს პირველობა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების 1972-73 წწ. დაბადებულ მოსწავლეთა შორის. თბილისი.

8-12. საგზატკეცილო ველორბოლა. — საქართველოს პირველობა — გოგონათა, ქალთა, იუნორთა და ვაჟთა შორის. გუდაუთა.

5-8. თავისუფალი ჭიდაობა — საქართველოს პირველობა 1968-1969 წწ. დაბადებულ იუნორთა შორის. კასპი.

5-10. საციგაო სპორტი — საქართველოს ჩემპიონატი. სვერდლოვსკი.

12-16. ჩოგბურთი — საქართველოს პირველობა გოგონათა და იუნორთა შორის. თბილისი.

18-17. ძიუდო — საქართველოს ჩემპიონატი. გორი.

15-18. მხატვრული ტანვარჯიში — საქართველოს ჩემპიონატი. ბათუმი.

16-18. ძალისხეობა — საქართველოს პირველობა იუნორთა შორის. რუსთავი.

16-18. ფიგურული ციგურაობა. — საქართველოს პირველობა სპეციალური პროგრამით. თბილისი.

17-19. მძლეონობა — საქართველოს ჩემპიონატი დახურულ დარბაზში. თბილისი.

19-20. სათხილამურო რბოლა — საკავშირო შეჯიბრება „ბაქურიანის პრიზი“. ბაქურიანი.

20-25. ცურვა — საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი. თბილისი.

22-26. წყალში ხტომა — საქართველოს პირველობა იუნორთა შორის. თბილისი.

28-27. აკრობატიკა — სამატრო შეხვედრა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. თბილისი.

25. I-2. II. შაში — საქართველოს ჩემპიონატი. ქუთაისი.

კრივი — გუნდური შეჯიბრება 1973-1974 წწ. დაბადებულ ჭაბუკ-

თა შორის. კალენდრის მიხედვით, მიმოსვლით.

11. I ზონა. თბილისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა — „ბურვეესტნიკი“ (თბილისი). თბილისი; თბილისის „შრომითი რეზერვები“ — თბილისის „განთიადი“. თბილისი; თბილისის „სპარტაკი“ — რუსთავი. თბილისი.

25. II ზონა. ცხინვალი — ქიათური. ცხინვალი; ქუთაისი — ტყიბული. ქუთაისი; გორი — ახალციხე. გორი.

18. III ზონა. სოხუმი — ფოთი. სოხუმი; ბათუმი — მესტია. ბათუმი; გუდაუთა — შეუმიანოვკა. გუდაუთა.

18. IV ზონა. გურჯაანი — გარდაბანი. გურჯაანი.

27-31. სპორტული ტანვარჯიში — სამატრო შეხვედრა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. თბილისი.

27. I-9. II. ჭაღარაკი — შესარჩევი რესპუბლიკური შეჯიბრება — ვაეები. სამტრედიო.

29. I-17. II. ჭაღარაკი — საქართველოს ჩემპიონატი — ნახევარფინალი. (ქალები) საგარეჯო. სოხუმი.

31. I-5. II. თანამედროვე ხუთქიდი — საქართველოს თასი. თბილისი.

28. I-1. II. სინქრონული ცურვა — ლიარესპუბლიკური შეჯიბრება 1971 წელს დაბადებულ გოგონათა შორის. თბილისი.

საპაშვირო და სპარტაკორში სპორტული შეჯიბრება

2. 12. ფეხბურთი — ვ. მარღვიას სოფლისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი 1969-1970 წწ. დაბადებულ იუნორთა შორის. სოხუმი; 2-12. შ. იამანიძის სსოვისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი. გარა.




9-11 მძლეონობა — სსრ კავშირის თასი (ზონალური ასპარეზობანი). თბილისი.

21-25. ნიჩბისხეობა ბაილარებითა და კანოებით — სსრ კავშირის ჩემპიონატი. გალი.

24-28. მაგისტის ჩოგბურთი — სსრ კავშირის ჩემპიონატი. თბილისი.

28. I-1. II. კალათბურთი — სსრ კავშირის ჩემპიონატი I ლიგა (ქალები) თბილისი.

29. I-2. II. თავისუფალი ჭიდაობა — სავრთაშორისო ტურნირი. თბილისი.



საპორტული 1987 წელი

1987 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმაში 500-მდე საკაპიტო შეჯიბრებაა შეტანილი...

სპორტულ ღონისძიებათა ერთიანი გეგმა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებსაც მოიცავს...

კომპლექსური შეჯიბრებებიდან უნდა აღვნიშნათ სპორტული სკოლების მოწვევითა საკაპიტო თამაშები...

საკაპიტო ჩემპიონატები და საკაპიტო თასის შეჯიბრებები 183 ქალაქში ჩატარდება.

- სსრ კავშირის ჩემპიონატები
ფიზკულტურული ციგურაობა. 6-11 იანვარი. ვილნიუსი.
ქალთა სათილაკო რბოლა. 7-10 იანვარი. მინსკი.

- სათილაკო რბოლა და ვაშთა 15 კილომეტრში (მსოფლიო თასის პროგრამით). 14-15 მარტი. კავკასიონი და ლენინგრადი.
ფარცაობა. 19-25 მარტი. მოსკოვი.
სარბობა. 25-29 მარტი. ერევანი.
ტანვარჯიში. 14-20 აპრილი. ხარკოვი.

- საბაიბარო ნიგონსობა და აბნობ. 13-17 მაისი. მოსკოვი.
სამგო. 19-22 მაისი. ტაშკენტი.
აპადიშორი ნიგონსობა. 29-31 მაისი. მოსკოვი.
თავისუფალი ვიღობა. 11-14 ივნისი. ვორონეჟი.
მხატვრული ტანვარჯიში (მრავალპილი). 11-14 ივნისი. ომსკი.
ცურობა. 15-21 ივნისი. დნებროპეტროვსკი.
ქალისობა. 30 ივნისი-5 ივლისი. არხანგელსკი.
სინგონსობა ცურობა. 9-12 ივლისი. კიევი.
მკლემსობა. 15-19 ივლისი. ბრიანსკი.
წყალში ხტობა. 25-28 ივლისი. დნებროპეტროვსკი.
ჩობობობობი. 8-16 აგვისტო. ტალინი.
გოვილდონსობა. 26-31 აგვისტო. მოსკოვი.
ტანვარჯიში (ჩემპიონატი და თასი). 8-14 სექტემბერი. როსტოვი.
ქალისობა (ცალკეულ მოძრაობებში და თასი). 25-29 ნოემბერი. უსტინოვი.
ბაღიბნობი. 10-13 დეკემბერი. ალმა-ათა.

საახალწლო ანიმაციები

ლინდლი, ბეპარი და სხვები
პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ 1986 წლის შედეგების მიხედვით მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ოცეული გამოაცხადა...

სქანობრივი ანა ზიმროს
ბელგრადის გაზეთ „პოლიტიკას“ ტრადიციულმა ანიმაციამ იუგოსლავიის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა...



ივან ლენდლი

ორნი საპოთა კავშირიდან

მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის კავშირმა დაამტკიცა კონტინენტის საუკეთესო სპორტსმენთა რეიტინგი...

- ქალები. 1. ჩილა ბატროფი (უნგრეთი), 2. ფლოურა ბულატოვა (სსრ კავშირი), 3. ოლეა ნემეში (გფრ), 4. მარია გრანოვა (ჩეხოსლოვაკია), 5. დანიელა გერგელევა (ბულგარეთი), 6. ბეტიხა ფრიხკოვა (ნიდერლანდები), 7. ოტილია ბალესკუ (რუმინეთი), 8. ედიტ ურბანი, 9. ქუქა ოლბი (ორიგეუნგრეთი), 10. ლიზა ბელინჯერი (ინგლისი).

კალენდროსკოპი რინგზე არიან პროფესიონალები

ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენსი“ დარბაზში გაიმართა პროფესიონალ მოკრივეთა მსოფლიო პირველობის ფინალური შეხვედრები...

ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენსი“ დარბაზში გაიმართა პროფესიონალ მოკრივეთა მსოფლიო პირველობის ფინალური შეხვედრები...

ითანაშვას თუ არა გარაღონა „რეალში“?

ესპანეთის გაზეთმა „ელ პასიმო“ მკითხველებს აცნობა, რომ დიეგო მარადონა მალე მადრიდის „რეალში“ ითამაშებს...

სუპერთანის ვატიჩი — 24 თებერვალს

ჩვენი გაზეთის მკითხველები ხშირად გვწერენ თუ სად და როდის გაიმართება ევროპის სუპერთანის მატჩი ფეხბურთში ჩემპიონთა თასის მფლობელ ბუქარესტის „სტილაუა-სა“ და თსების თასის გამარჯვებულ კიევის „დინამოს“ შორის.

ბული იყო ბრესაში, კერძოდ, „ლელოში“: „სტილაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი) და „დინამო“ (კიევი, სსრ კავშირი) 24 თებერვალს შეხვედრებან ერთმანეთს მონაკოში.

პარტინი პროფესიონალები

მადრიდის „რეალის“ და ესპანეთის ნაყრების ცენტრალური თანდასხმელი ფერხანდო მარტინი გახდა პროფესიული კლუბის „პორტლენდ თრეილ ბლეიზის“ წევრი, კლუბისა, რომელიც 1977 წლის სეზონში კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონი იყო.

კალენდროსკოპი

ნიუბორი
ლერი კუჭუხობისა და ვახტანგ კუციას ნახატები.
Illustration showing a bear and a person, and a person on a high bar.

პირველი ქრონიკული გიგანტული ბაკლით

პაზახიტიის მთამსვლელებისთვის დღე ღამბული იყო. საუზუნმდე ერთი საათი იფარჯიშეს, საუზუნის შემდეგ მთამსვლელები ბანაკში მიდამოებში 2200 და 3500 მეტრი სიმაღლეზე 10 კილომეტრი სიარბლით დაფარეს.

ჩვენი რესპუბლიკის 18 მთამსვლელებისთვის სეზონი გორკულდება. უთხრა საკდესის აირესპონდენტს ყაზახეთის მთამსვლელები ფედერაციის პრეზიდენტს თავმჯდომარის ბორის სტულცენსონს...

ალთაუში მიმდინარე შეჯიბრების შემდეგ ყაზახეთის მთამსვლელები, სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად, იანვარში ალბანის ტრენინგში და ტაქტიკაში კავკასიონზე ჩააბარებენ გამოცდას. როცა მომავალი ექსპედიციისთვის კანდიდატებს არჩევდნენ, კონსურენცია გერავინ გაუწია ყაზბეკ ვალიევს და ვალერი ხროშჩაკ რადგან ეს მთამსვლელები უკიდურესად რთულ მეთოდოლოგიურ პრობლემში ავიდნენ ჯომოლოუნგმაზე.

სპორტის ტექნიკურ სახეობებში

გაზეთი „სოვეტსკი ბატრიოტი“ ტრადიციული საახალწლო გამოცემა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ მკითხველები, საბჭოთა კავშირის უძლიერეს სპორტსმენებს ავლენს სპორტის ტექნიკურ და საშხედრო-გამოყენებით სახეობებში.

წლეფანდელი კონკურსის ლაურეატები გახდნენ:
იური ივანოვი (კრასნოიარსკი) — მსოფლიოს ორჯონი ჩემპიონი მოტობოლაში ყინულზე.
ლიუგოვ ნემბოვა (მოსკოვი) — მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი უმაღლეს პილოტაჟში.

პირველი ანატოლი ჩიგაშინი (ნოგინსკი) — წყალსამოტორო სპორტი.
სარბი ჩანკოვსკი (ვიდნოე) — მოტობოლა.
ანატოლი კოლანინი (ფრუნე) — ავიამოდელიზმი.
პირილ კურიანი (ტიუმენი) — გემთოდელიზმი.
ვლადიმერ ჩისტიაკოვი (ოდინცოვი) — „მელიდზე ნადირობა“.
მარინა სარაივა (სმოლენსკი) — წყალქვეშა ორიენტირება.

რედაქტორის მოადგილე
თ. გარჩილიაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებსთვის — 250096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დებუშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მარტიე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66485
საქართველოს კბ ც-ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგავეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.